

სტუდენტური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

სტუდენტები 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

18-20 ივლისი, 2019 წელი

თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადა: 10 აპრილი, 2019 წელი

21-ე საუკუნემ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა უნივერსიტეტები. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა უნივერსიტეტში მიმდინარეობს გარკვეული შიდა ტრანსფორმაციები, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ სრულად უპასუხონ იმ საზოგადოების მოთხოვნებს, რომლის პროდუქტსაც ისინი წარმოადგენენ.

დღევანდელი სამყაროს კომპლექსური ხასიათი, გლობალიზაცია, ახალი ტექნოლოგიები, მიგრაციები, საერთაშორისო კონკურენცია, ბაზრების განვითარება, ისევე როგორც გარემოსა და ტრანსნაციონალური პოლიტიკის გამოწვევები, ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც მოითხოვენ იმ კომპეტენციებისა და ცოდნის შექმნას, რომლებიც დასჭირდებათ სტუდენტებს იმისათვის, რომ წარმატებებს მიაღწიონ 21-ე საუკუნეში.

21-ე საუკუნის გამოწვევები მოითხოვენ ფართო კომპეტენციების ერთობლიობას, სახელდობრ, სპეციალიზირებულ კომპეტენციებს, სოციალურ და ინტერკულტურულ კომპეტენციებს, ინგლისურთან ერთად სხვა ენების ცოდნასაც და იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალთა ცოდნასაც, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებებზე.

შესაბამისად, ბოლო ორი ათეული წელია, მსოფლიოში წარმოიშვა სწავლა/სწავლების ახალი მოდელის შემუშავების აუცილებლობა. დღეისათვის არსებობს უამრავი ტექსტი, რომლებიც კონცენტრირებულია ძირითადად სამ თემაზე - სწავლა/სწავლების ახალი მოდელის შემუშავების მოტივაციები, სპეციფიური კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ უპასუხო 21-ე საუკუნის გამოწვევებს და ამ უნარების სტიმულირების პედაგოგიკა (Cynthia Luna Scott, 2015).

იუნესკოს მიერ სასწავლო პროცესის ტრანსფორმაციის მიზნით 2015 წელს შემუშავებული დოკუმენტი გვთავაზობს იმ კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალს, რომელთა დანერგვა სასწავლო პროცესში და ამ მიზნით შესაბამისი პედაგოგიკის შემუშავება ხელს შეუწყობს იმას, რომ საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდებმა შეძლონ, უპასუხონ იმ გამოწვევებს, რომლებსაც საზოგადოება და შრომის ბაზარი მათ წინაშე აყენებს 21-ე საუკუნეში.

მიმდინარე გამოწვევებს შორის მნიშვნელოვანია ახალი, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში და შესაბამისი პირობების შექმნა სტუდენტებისა და

პროფესორებისათვის, რათა მათ შეძლონ სწავლა/სწავლების ტრადიციულ ფორმებთან ერთად, მაქსიმალურად გამოიყენონ ის ახალი ტექნოლოგიები, რომლებსაც 21-ე საუკუნე გვთავაზობს. ამასთან ერთად, დღეს, ციფრულის ეპოქაში, როდესაც სტუდენტისთვის დროის უმცირეს მონაკვეთში ხელმისაწვდომია ნებისმიერი სახის შემოწმებული თუ შეუმოწმებელი ინფორმაცია, უნივერსიტეტის მოვალეობაა, განავითაროს სტუდენტებში კრიტიკული ანალიზის უნარი, ასწავლოს მათ, როგორ გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, როგორ შეარჩიონ საჭირო ინფორმაცია მათი სპეციალობის დაუფლებისათვის საჭირო ცოდნის მისაღებად და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

კონფერენციის მიზანია, გამოარკვიოს, როგორ მიმდინარეობს ამ მხრივ საჭირო რეფორმები ცენტრალური და ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში, როგორ არიან ჩართულები სტუდენტები ამ რეფორმების ინიცირებასა და განხორციელებაში, როგორ წარმოუდგენიათ მათ ის კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს უნივერსიტეტებსა და დასაქმების ბაზარს შორის, როგორ უნდა ხდებოდეს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება სასწავლო პროცესში, როგორია სტუდენტების ჩართულობა სხვადასხვა პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, რამდენად აქვთ მათ შანსი და შესაძლებლობა, სწავლის პერიოდში მონაწილეობა მიიღონ პროფესორებთან ერთად კვლევით საქმიანობაში, რაც მათ დაეხმარება ისეთი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების შექმნაში, როგორებიცაა მეტაკოგნიტიური და ინტერკულტურული კომპეტენციები, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა და ლიდერობა, ინიციატივა და საწარმოს ცოდნა, მართვა, ორგანიზება, ცნობისმოყვარეობა და წარმოსახვის უნარი, ეფექტური ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარი, ინფორმაციის მოპოვების, კრიტიკული ანალიზისა და პრობლემების გადაჭრის უნარი, მოქნილობა/მოხერხებულობა და ადაპტაციის უნარი, გარისკვა და კრეატიულობა (Wagner 2010).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები შემდეგი თემების ირგვლივ:

- < სწავლა/სწავლება და ციფრული ტექნოლოგიები
- < კვლევის კომპონენტი სასწავლო პროცესში
- < უნივერსიტეტი და დასაქმების ბაზარი: სტუდენტი-უნივერსიტეტი-საწარმო
- < ავშირი სკოლასა და უნივერსიტეტს შორის
- < განათლების რეფორმა, მიღწევები და ნაკლოვანებები
- < მისაღები გამოცდები თუ საატესტატო გამოცდები?
- < სპეციალობის დაუფლებისათვის შედგენილი პროგრამები და სტუდენტთა მოლოდინები
- < არჩეული სპეციალობის დაუფლებისათვის საჭირო მატერიალური და აკადემიური რესურსები
- < საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა და ონლაინ რესურსებით სარგებლობის პირობები

- < სტუდენტთა პროფესიული ჩართულობა: სტაჟირება როგორც პროფესიული დახელოვნების აუცილებელი პირობა მაგისტრატურაში სწავლის დროს
- < ტრადიციული და ონლაინ სწავლების უპირატესობები და ხარვეზები
- < სწავლის (და კვლევის) ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში - ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენის ერთ-ერთი პირობა
- < ენობრივი უნიფორმიზაცია თუ მრავალენოვნება?

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ საუნივერსიტეტო განათლებასთან დაკავშირებული სხვა თემები.

კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ფრანგული, ინგლისური

ანონიმი ექსპერტების მიერ ორმაგი შეფასების შედეგად შერჩეული სტატიები გამოქვეყნდება წარმოდგენილი მოხსენებების ენებზე CODFREURCOR-ის ჟურნალის *Études interdisciplinaires en Sciences humaines* (ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) მე-7 ნომრის დამატებაში.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად: თქვენი განაცხადი უნდა წარმოადგინოთ Word-ის ფორმატში (Times New Roman, 12 p.p) და ის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- სამოქალაქო სტატუსი (ბატონი, ქალბატონი)
 - სტუდენტური სტატუსი: (ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი) -
 - სახელი -
 - გვარი -
 - უნივერსიტეტი -
 - საფოსტო მისამართი -
 - ტელეფონის ნომერი -
 - ელექტრონული მისამართი -
 - მოხსენების სათაური (მაქსიმუმ 20 სიტყვა) -
 - მოხსენების რეზიუმე და საკვანძო სიტყვები მოხსენების ენაზე და ინგლისურად (მაქსიმუმ 250 სიტყვა) -

გთხოვთ, განაცხადი შესაბამისი ფორმით გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

colloqueetudiant@iliauni.edu.ge

თარიღები:

მოხსენებისათვის განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: **10 აპრილი, 2019 წელი**

მოხსენების მიღების თაობაზე შეტყობინების გაგზავნის ბოლო ვადა: **30 მაისი, 2019 წელი**

კონფერენციის პროგრამის გამოქვეყნება: 15 ივნისი, 2019 წელი

საორგანიზაციო კომიტეტი:

მეგი გაფრინდაშვილი - megi.gaprindashvili.1@iliauni.edu.ge

ელზა იმნაძე - elza.imnadze@iliauni.edu.ge

სალომე ლაფაჩიშვილი - salome.lapachishvili@iliauni.edu.ge

სალომე ფანცულაია - salome.pantsulaia.1@iliauni.edu.ge

ნინო ხარაზიშვილი - ninakharaz@yahoo.fr

მარიამ ხარებავა - mariami.kharebava.1@iliauni.edu.ge

სამეცნიერო კომიტეტი:

ბლბულიან ტაგუჭი, *ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
გარნიე ელეონორ, *საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის ატაშე*
გვალაია გიორგი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი*
გვანცელაძე თემურ, *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
გრიგორიან კარინე, *ერევნის ბრიუსოვის ლინგვისტიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
დობორჯგინიძე ნინო, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვიცე-რექტორი*
დობტურიშვილი მზალო, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ეიბენ ნელი, *ტიმიშუარას დასავლეთის უნივერსიტეტი*
ვრაზი დიანა, *ბალცის „ალეკუ რუსოს“ სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ზბანტ ლუდმილა, *მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ლომიძე მირანდა, *ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადოქტორო კოლეჯის CODFREURCOR დირექტორი*
მამაცაშილი ათინათი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ნოზაძე ლიანა, *ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
პატარაია ნინო, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
პატრას როქსანა, *იასის „ალექსანდრუ იოან კუზას“ უნივერსიტეტი*
სურგულაძე ნატალია, *შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ფრუმუშანი დანიელა, *ბუქარესტის ინივერსიტეტი*
ქავთარაძე ნინო, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ღუტიძე ინგა, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
შავერდაშვილი ეკატერინე, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ხარებავა მაყვალა, *ეგეოსის უნივერსიტეტი*
ხოსიტაშვილი გიგა, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

